



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია



მოკლედ ეკონომიკაზე
ოქტომბერი, 2015



2015 წლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების ანალიზი

2015 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით ბიუჯეტის შესრულება გეგმასთან მიახლოებულია. მთლიანი შემოსულობები ბიუჯეტის გეგმას 5.7 %-ით აღემატება, ხოლო გადასახდევლების ჯამური მაჩვენებლები 3.7 %-ით ჩამორჩება კვარტალურ გეგმას.

შემოსულებების ნაწილში განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ არაფინანსური აქტივების გასხვისების გზით მიღებულმა შემოსულობებმა 136.6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც კვარტალური გეგმის 525.3 %-ს შეადგენს. ეს, ძირითადად, უკავშირდება მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს. ლიცენზიები გაიყიდა 2014 წლის დეკემბერში და გადახდის გრაფიკი მიმდინარე წლის დასაწყისში შეთანხდა, ამიტომ ეს შემოსავლები არ აისახა 2015 წლის ბიუჯეტის გეგმაში. კვარტალურ გეგმას 2.2 %-ით აღემატება საგადასახადო შემოსავლები და 3 581 მლნ. ლარს შეადგენს.

გადასახდევლების ნაწილში, ისევე, როგორც წინა წლებში, დაგეგმილზე ნაკლებია არაფინანსურ აქტივებზე განეული ხარჯები (ე.წ. კაპიტალური ხარჯები). კაპიტალური ხარჯები კვარტალური გეგმის 79.8 %-ს შეადგენს და მას 61.1 მლნ. ლარით ჩამორჩება. ამასთან, აქციებსა და სხვა ფინანსურ აქტივებზე განეულმა ხარჯებმა 27.5 %-ით გადააჭარბა კვარტლის გეგმას და 187.4 მლნ. ლარი შეადგინა.

2015 წლის ბიუჯეტში ერთხელ განხორციელდა ცვლილება¹. შემოსულობების ნაწილი დაახლოებით 25 მლნ. ლარით გაიზარდა. ხარჯვით ნაწილში კი საქონლისა და მომსახურების, შრომის ანაზღაურებისა და სუბსიდიების მუხლები შემცირდა დაახლოებით 160 მლნ. ლარით. თუმცა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა, რადგან ეს სახსრები გამოიყენება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და ლარის კურსის გაუფასურების შედეგად გაზრდილი საგარეო ვალის მომსახურებისათვის.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ 1 ოქტომბერს პარლამენტს განსახილველად წარუდგინა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, 2016 წელს მშპ-ის რეალური ზრდა 3.0 % იქნება, ხოლო 2019 წლამდე მისი 4.5 %-მდე გაზრდა არის ნაგარაუდები. ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 3.0 %-ის ფარგლებში არის დაგეგმილი და 2019 წლისთვის 2.0 %-მდე უნდა შემცირდეს.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები 8 355 მლნ. ლარის ოდენობითაა გათვლილი, რაც 2015 წელთან შედარებით 404 მლნ. ლარით (5.1%) არის გაზრდილი. ეს ზრდა, ძირითადად, საგადასახადო შემოსავლების მატებამ განაპირობა (380 მლნ. ლარი). სულ 2016 წელს დაგეგმილია 7 780 მლნ. ლარი საგადასახადო შემოსავლების მიღება. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა ასევე 255 მლნ. ლარის ოდენობის გრანტები და 320 მლნ. ლარის სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდევლები, სანქციები და სხვა).

2015 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ხარჯები გაზრდილია 356.6 მლნ. ლარით და 8 373.2 მლნ. ლარს შეადგენს. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 279.4 მლნ. ლარით არის გაზრდილი, ხოლო 57.3 მლნ. ლარით მოიმატებს შრომის ანაზღაურება. მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების ზრდა დაგეგმილია მომუშავეთა რიცხოვნობის შემცირების პარალელურად. 2015 წელთან შედარებით, 2016 წლის პროგრამით გათვლილია სახელმწიფო სამსახურში მომუშავეთა რაოდენობის 610-ით შემცირება.

მხოლოდ 5 მლნ. ლარით (0.48%) არის გაზრდილი რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება და 950.0 მლნ. ლარს შეადგენს. აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გამოყოფილია 526.6 მლნ. ლარი. 2015 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით 50.5 მლნ. ლარით მეტი იყო გამოყოფილი. 246.2 მლნ. ლარი დაიხარჯება რეგიონალური და მუნიციპალური ინ-

¹ 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ეს ცვლილება პარლამენტმა მიმდინარე წლის 17 ივლისს დაამტკიცა.

ფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ. ხოლო წყალ-მომარაგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას 2016 წელს 170.6 მლნ. ლარი მოხმარდება, 41.0 მლნ. ლარით მეტი ვიდრე 2015 წელს.


2016 წლის ბიუჯეტის პროექტში, მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით, არაფინანსური აქტივების ზრდა (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) 37.7 მლნ. ლარით (4.9%) არის შემცირებული. სულ კაპიტალური ხარჯები 736.0 მლნ. ლარს შეადგენს. აქედან 466.8 მლნ. ლარი რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე მოდის.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია ვალდებულებების ზრდა 1 275 მლნ. ლარით. ასევე, დაგეგმილია საგარეო სესხების შემცირება 360 მლნ. ლარით და საშინაო ვალდებულებების 64.4 მლნ. ლარიანი კლება.

2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები შემოსავლებს აჭარბებს და, შესაბამისად, საოპერაციო სალდო უარყოფითი იქნება (18.2 მლნ. ლარი), ხოლო, წინასწარი პროგნოზით, ბიუჯეტის დეფიციტი 554,2 მლნ. ლარი იქნება.


ბიუჯეტის პროექტი, საპარლამენტო განხილვების შედეგად, რამდენჯერმე შეიძლება შეიცვალოს. საბოლოო ვარიანტი კი პარლამენტმა წლის ბოლომდე უნდა დაამტკიცოს.

გრაფიკი 2: სამინისტროების დაფინანსება (მლნ.ლარი)



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 1: საგადასახადო შემოსავლები



წყარო: საქსტატი

2 რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა ისევ შენელებულია

2015 წლის მეორე კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, მშპ 7 772.2 მლნ. ლარს შეადგენს. წინა წლის მეორე კვარტლის მიმართ მშპ-ის ნომინალური ზრდა 8.5 %-ს შეადგენს, ხოლო რეალური² - 2.5 %-ს. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მეორე კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდა 5.2 % იყო. ამასთან, ლარის აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებამ მნიშვნელოვნად შეამცირა აშშ დოლარში გამოხატული მშპ.

2015 წლის აგვისტოში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპმა 2.3 %, ხოლო 2015 წლის პირველი რვა თვის საშუალო რეალურმა ზრდამ - 2.8 % შეადგინა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2015 წელს საქართველოში მშპ-ის 2.0 %-იანი რეალური ზრდა იქნება.

მშპ-ის რეალური ზრდის შეფერხება სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული. ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება რეგიონში შექმნილი სიტუაციის ნეგატიური გავლენის შედეგია. ამას თან დაერთო ეროვნული ვალუტის აშშ დოლარის მიმართ გაუფასურება. იმპორტის გაძვირებამ, სესხის მომსახურების ხარჯების გაზრდამ (საქართველოში სესხების 64 % აშშ დოლარში არის დენომინირებული) და გზავნილების კლებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მშპ-ის ზრდის ტემპი.

2015 წლის მეორე კვარტალში ყველაზე მნიშვნელოვანი რეალური ზრდა მშენებლობაში (14.5%), სამთომომპოვებელ მრეწველობასა (12.7%) და საფინანსო საქმიანობაში (10.6%) იყო. მთლიანი გამოშვების სტრუქტურა, პირველ კვარტალთან შედარებით, არ შეცვლილა. 15 % გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის, მეორე ადგილზეა ვაჭრობა 11.3 %-იანი წილით. ხოლო მესამე ადგილზეა მშენებლობა (10.6%).

აღსანიშნავია, რომ მშენებლობა ერთადერთი დარგია, რომელშიც პირველ კვარტალთან შედარებით, მეორე კვარტალში გამოშვება 1 %-ზე მეტად გაიზარდა (2.4%).


ცხრილი 1: მთლიანი შიდა პროდუქტი

	II კვ. 2014	II კვ. 2015*	ცვლილება
მშპ საბაზრო ფასებში (მლნ. GEL)	7 162.8	7 772.2	8.5%
მშპ საბაზრო ფასებში (მლნ. USD)	4064.1	3406.5	-16.2%
მშპ ერთ სულზე (GEL) ³	1 595.1	2 084.0	30.7%
მშპ ერთ სულზე (USD)	905.0	913.4	0.9%
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	5.2%	2.5%	

* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 3: მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა




* წინასწარი შეფასება

წყარო: IMF

2 რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე.

3 2015 წლის პირველ კვარტალში, ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში, ასახულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები. წინა წლების მაჩვენებლებში გამოყენებულია აღწერამდელი დემოგრაფიული მონაცემები. წინა წლების მოსახლეობის რიცხოვნობა, აღწერის მონაცემების გათვალისწინებით, დაზუსტდება 2016 წელს, რაც გამოიწვევს ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლების დინამიკური მწკრივების დაზუსტებას 2003-2014 წლების მიხედვით.

გრაფიკი 4: სექტორების რეალური ზრდა მეორე კვარტალში




წყარო: საქსტატი

ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსი ზრდის ტენდენციას იწარჩუნებს

სექტემბერში ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარის მიმართ საშუალოდ 2.3985 შეადგინა. 22 სექტემბერს კურსმა მაქსიმალურ მაჩვენებელს 2.4499 მიაღწია, რაც თითქმის გაუტოლდა ლარის ისტორიულ რეკორდულ გაცვლით კურსს აშშ დოლარის მიმართ - 2.4510, რომელიც 1999 წლის თებერვალში დაფიქსირდა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძისა და ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის შეფასებით, ლარმა აშშ დოლართან გაცვლითი კურსის პიკს მიაღწია და შემდგომ გაუფასურებას აღარ უნდა მოველოდეთ.


2015 წლის სექტემბერში, წინა წლის სექტემბერთან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი⁴ 6.6 %-ით გაუფასურდა. ხოლო, აგვისტოსთან შედარებით, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ 2.2 % შეადგინა. რაც შეეხება რეა-

გრაფიკი 5: ვალუტის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ, 01.15-10.15



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 6: ლარის რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება სექტემბერში 2014 წლის სექტემბერთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

⁴ ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წარმოადგენს ძირითადი საგარეო პარტნიორების მიმართ (ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია) ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ინდექსების შეწონილ საშუალო გეომეტრიულს.

ლურ ეფექტურ გაცვლით კურსს⁵, აგვისტოს მონაცემებით, ის, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, 6.0 %-ით გაუფასურდა.

2014 წლის ნოემბრის შემდეგ ლარი აშშ დოლარის მიმართ 35.6 %-ით გაუფასურდა.

წინასწარი შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მკვეთრად შემცირდა


2015 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის⁶ დეფიციტმა 354.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მეორე კვარტლის მშპ-ის 10.4 %-ს შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2015 წელს მიმდინარე ანგარიში საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის 10.7 % იქნება.

2014 წლის მეორე კვარტალთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 16.2 %-ით არის შემცირებული. ბოლო 5 წელიწადში, მეორე კვარტლის შედეგებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წელს ყველაზე მცირეა. გამონაკლისს წარმოადგენს 2013 წელი, როდესაც, რუსეთის მიერ ემბარგოს გაუქმების შედეგად, ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა.

2015 წლის მეორე კვარტალში საქონლის იმპორტმა 991.0 მლნ. აშშ დოლარით გადააჭარბა ექსპორტს. 2014 წლის მეორე კვარტლის შემდეგ იმპორტი 295.2 მლნ. აშშ დოლარით (14.2%) შემცირდა, მაშინ, როცა ექსპორტმა მხოლოდ 220.9 მლნ. აშშ დოლარით (22.6%) იკლო. შედეგად ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა წინა წლის მეორე კვარტლის შემდეგ 74.7 მლნ. აშშ დოლარით (6.8%) არის შემცირებული. საქონლით ვაჭრობისაგან განსხვავებით, მომსახურებით ვაჭრობის ექსპორტი უფრო მეტია, ვიდრე იმპორტი, რაც, ძირითადად, ტურიზმის ზრდით არის განპირობებული.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებაზე, ასევე, მნიშვნელოვნად იმოქმედა მისი კომპონენტის, მიმდინარე ტრანსფერტების⁷ 15.4 %-იანმა ზრდამ. ეს სამთავრობო სექტორში მიღებული გრანტებისა და სხვა ვალდებულებების მნიშვნელოვანი ზრდით არის გამოწვეული (მაგ.: C ჰეპატიტის ელი-

გრაფიკი7: საქონლით ვაჭრობა მეორე კვარტალში



მინაციის პროგრამის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობამ 143.2 მლნ. აშშ დოლარი მიიღო).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაზრდილია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების უმნიშვნელოვანესი წყაროა. მეორე კვარტალში საზღვარგარეთიდან მიღებული პირდაპირი ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 354.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ეს მონაცემი 88.9 %-ით არის გაზრდილი. სააქციო კაპიტალში განხორციელებულმა ახალმა ინვესტიციებმა 60.4 %, ხოლო რეინვესტირებულმა შემოსავალმა პირდაპირი ინვესტიციების 24.9 % შეადგინა. პირდაპირი ინვესტიციების განმხორციელებელი სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანაა აზერბაიჯანი, ნიდერლანდები და თურქეთი. მეორე კვარტალში ამ ქვეყნების მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების 75.8 % შეადგინა.


2015 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მოდის

5 რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებას საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორ ქვეყნების ვალუტების მიმართ, სამომხმარებლო ფასების ინდექსებს შორის თანაფარდობის ცვლილების გათვალისწინებით. გაანგარიშებაში ჩართულია შემდეგი სავაჭრო პარტნიორები: ეროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია.

6 მიმდინარე ანგარიში ასახავს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას, შრომით და საინვესტიციო შემოსავლებს, მიღებულ და გაცემულ გრანტებს და ა.შ.

7 მიმდინარე ტრანსფერტები მოიცავს: სამთავრობათაშორისო და სავალუტო ფონდის გრანტებს, მუშაკთა გზავნილებს და სხვა ტრანსფერტებს.

გრაფიკი 8: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორებში (2015 წლის II კვარტალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი ინვესტიციები ენერჯეტიკის სექტორში 2014 წლის მეორე კვარტლის შემდეგ კლებადი ტენდენციით ხასიათდება. 2015 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ინვესტიციები ამ სექტორში 70 მლნ. აშშ დოლარით არის შემცირებული, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 8.9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა ბოლო 4 წლის განმავლობაში მინიმალურ დონეზეა


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ⁸ 7 312 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 13 %-ით ნაკლებია. 2014 წელთან შედარებით, შემცირებულია როგორც ექსპორტი (24%), ასევე - იმპორტი (9%). ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, პირველი ცხრა თვის მონაცემებით წელს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის ყველზე დაბალი მაჩვენებლებია. ამას გარდა, საგარეო ვაჭრობის ბალანსი მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 55 %-ს (4 023 მლნ. ლარი) შეადგენს.

გრაფიკი 9: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 10: საგარეო ვაჭრობა. იანვარი-სექტემბერი




წყარო: საქსტატი

შემდეგ დარგებზე: ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი (58.5%), საფინანსო სექტორი (11.7%), დამამუშავებელი მრეწველობა (8.3%) და მშენებლობა (7.0%).

8 საგარეო ვაჭრობაში ექსპორტი-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია საქონლის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის დატოვება.

გრაფიკი 11: საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით (ათასი ლარი), იანვარი-სექტემბერი 2015




▲ ▼ პროცენტული ცვლილება

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები ისევ შემცირებულია

გრაფიკი 12: მიღებული ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (სექტემბრის მდგომარეობით) ათასი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ადგინა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ინფლაციის მიზნობრივ დონეს (5%) მცირედით აღემატება. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს წლის ბოლომდე გაუტოლდება.


ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ მნიშვნელოვნად გააძვირა იმპორტი. შედეგად გაიზარდა შუალედური პროდუქციის ფასები. ამას თან დაერთო ელექტრო ენერჯის ტარიფის მომატება. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ინფლაციის ზრდას. ყველაზე დიდი ზრდა აღინიშნა საცხოვრებლის, წყლის, ელ. ენერჯისა და ბუნებრივი აირის ფასებში, რამაც 2.4 %-იანი ინფლაცია შეადგინა. ასევე, აღსანიშნავია ინფლაცია ჯანმრთელობის დაცვის სექტორში (2.2%); დასვენების, გართობის, კუტურისა და განათლების სექტორებში (1.7%). ფასები გაიზარდა ავეჯსა და საოჯახო ნივთებზეც (1.8%). ამავდროულად, ფასები მცირედით შემცირდა ტრანსპორტზე (0.9%) და სასტუმროებში, კაფეებსა და რესტორნებშიც იკლო ფასებმა (0.6%), აგვისტოს თვესთან შედარებით. ხოლო წლიური ინფლაცია ყველაზე მეტად აისახა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს (13.4%) ისევე, როგორც ავეჯისა და საოჯახო მოწყობილობების ფასებზე (9.3%).

გაზრდილია სამომხმარებლო ფასების ინდექსი

სამომხმარებლო ფასების ინდექსი სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, გაზრდილია 1.1 %-ით, ხოლო წლიურმა ინფლაციამ სექტემბერში 5.2 % შე-

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინასწარი შეფასებით, 2015 წელს საქართველოში სამომხმარებლო ფასები 3.7 %-ით გაიზარდება. ხოლო აზიის განვითარების ბანკი 4.3 %-იან წლიურ ინფლაციას პროგნოზირებს.

გრაფიკი 13: სამომხმარებლო ფასების პროცენტული ცვლილება 2015 წლის სექტემბერში




წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია 3.3 პროცენტით არის შემცირებული

საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ⁹ 2015 წლის მეორე კვარტლის ბოლოს -17,467.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 607.6 მლნ. დო-

ლარით (3.3%) არის შემცირებული. 30 ივნისის მდგომარეობით წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია მშპ-ის 112.3 %-ია.

2014 წლის მეორე კვარტალთან შედარებით წელს საქართველოს აქტივები გაზრდილია 500.3 მლნ. აშშ დოლარით და 6.4 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ხოლო ვალდებულებები გაზრდილია 1 107.9 მლნ. აშშ დოლარით და მთლიანობაში 23.8 მლრდ. აშშ დოლარია.

გრაფიკი 14: საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია



⁹ არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს შორის სხვაობა, ეკონომიკის შემდეგი სექტორების მიხედვით: ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები, სამთავრობო და სხვა სექტორები.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს კანონის პროექტი. „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.“ 2015.
- საქართველოს კანონი. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.“ 2014.
- საქართველოს ეროვნული ბანკი. აგვისტოს თვის მიმოხილვა. 2015.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, აგვისტო 2015.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. კვარტალური ბიულეტენი, II კვარტალი.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, II კვარტალი.
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, იანვარი-სექტემბერი. Asian Development Bank. Asian Development Outlook 2015. ADB, 2015.
- International Monetary Fund. World Economic Outlook. IMF, October 2015.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.